# ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიასა

და

სსიპ -ტექნოლოგიურ ინსტიტუტს შორის

**ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი**
**სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიასა**
**და**
**სსიპ -ტექნოლოგიურ ინსტიტუტს შორის**

ქ. თბილისი 28 თებერვალი, 2019 წელი

ერთის მხრივ სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია (შემდგომში „აკადემია“), წარმოდგენილი რექტორის მოვალეობის შემსრულებლის, პოლკოვნიკი მამია ბალახაძის სახით და მეორეს მხრივ სსიპ - ტექნოლოგიური ინსტიტუტი (შემდგომში „ინსტიტუტი“), წარმოდგენილი აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის თეიმურაზ ლომთათიძის სახით (შემდგომში „მხარეები“), ისწრაფვიან რა ურთიერთობების განვითარებისა და განმტკიცებისაკენ, იღებენ მხედველობაში სამეცნიერო და საგანმანათლებლო თანამშრომლობაში ორმხრივ დაინტერესებას, აცნობიერებენ მომავალი თაობებისთვის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი განათლების მიცემის და მათთვის სახელმწიფოებრივი აზროვნების ჩამოყალიბების მნიშვნელობას, გამოხატავენ ურთიერთთანამშრომლობის ნებასა და მზადყოფნას თანხმდებიან შემდეგზე:

**მუხლი 1.**

**მიზანი**

წინამდებარე მემორანდუმის მიზანია აკადემიასა და ინსტიტუტს შორის დამყარდეს მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობები, რომელიც ხელს შეუწყობს მხარეთა შორის საგანმანათლებლო, კვლევითი, ინოვაციური პროგრამების განვითარებასა და პერსონალის პროფესიონალიზმის ამაღლებას.

**მუხლი 2.**

**მხარეთა უფლება-მოვალეობები**

2.1.მხარეები:

ა) ხელს შეუწყობენ და განავითარებენ ფიზიკის, საინჟინრო და მაღალი ტექნოლოგიების მიმართულებებს;

ბ) ხელს შეუწყობენ განათლებისა და მეცნიერების სფეროში გამოცდილების გაზიარებას და სიახლეების ტრანსფერს;

გ) ითანამშრომლებენ ფუნდამენტურ და გამოყენებით სამეცნიერო კვლევებში;

დ) ხელს შეუწყობენ ევროპულ საგანმანაშლებლო და სამეცნიერო სივრცეში ინტეგრაციას;

ე)ითანამშრომლებენ საჯარო ლექციების, სემინარების, ტრენინგების, კონფერენციების, სიმპოზიუმების და სხვა აქტივობების ჩატარებაში;

ვ) განიხილავენ თანამშრომლობის სხვა ნებისმიერ ფორმებს და მიმართულებებს, რომლებიც არ არის ასახული წინამდებარე მემორანდუმში;

2.2. აკადემია:

ა) საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს საკონფერენციო, სალექციო დარბაზების, სპორტული და კულტურული კომპლექსების და სხვა ინფრასტრუქტურული საშუალებების გამოყოფას;

ბ) უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო ფონდით სარგებლობას;

გ) უზრუნველყოფს ლაბორატორიების და სამხედრო დანიშნულების საშუალებების გამოყენებას;

2.3. ინსტიტუტი:

ა) უზრუნველყოფს საინჟინრო საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული ფიზიკის და საინჟინრო ტექნოლოგიების თემატიკის პრობლემების შესწავლისათვის ლაბორატორიული ბაზის გამოყენებას;

ბ) უზრუნველყოფს კვალიფიციური პერსონალის ჩართულობას აკადემიური პროგრამების თეორიულ და პრაქტიკულ სწავლებებში;

**მუხლი 3.**

**დამატებითი პირობები**

3.1. წინამდებარე მემორანდუმში მხარეთა ორმხრივი წერილობით შეთანხმების საფუძველზე შეიძლება შეტანილ იქნას ცვლილებები და დამატებები;

3.2. მემორანდუმი უვადოა, ძალაში შედის ორივე მხარის მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით, მხარეთა მიერ სხვა გადაწყვეტილებ(ებ)ის მიღებამდე. შეთანხმება არ შეიცავს მხარეთა ვალდებულებებს და არ წარმოადგენს აუცილებლად შესასრულებელ დოკუმენტს. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მასში მითითებული ღონისძიებების განხორციელება დამოკიდებულია ორივე მხარის ნებაზე, შესაძლებლობაზე და კომპენტეციაზე.

3.3. მემორანდუმი შეწყდება მეორე მხარის მიმართ არანაკლებ ერთი თვით ადრე შესაბამისი წერილობითი შეტყობინების გზით. წინამდებარე მემორანდუმის მოქმედების შეწყვეტა გავლენას არ იქონიებს მხარეთა მიერ ნებისმიერი იმ პროექტის ან პროგრამის განხორციელებაზე, რომელიც მხარეთა შორის იქნა შეთანხმებული, მაგრამ არ დასრულებულა წინამდებარე ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის მოქმედების შეწყვეტამდე.

3.4. ყველა ის საკითხი, რომელიც არ არის განსაზღვრული ამ მემორანდუმით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და მხარეებთან დაკავშირებული სხვა სამართლებრივი დოკუმენტებით.

3.5. მხარეთა შორის უთანხმოების წარმოშობის შემთხვევაში დავა გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად.

3.4 მემორანდუმი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლიარად და ინახება მხარეებთან.

| | |
|---|---|
| სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი, ეროვნული ექსპერტი<br><br>ალბერტ ბალახაძე | სსიპ - ტექნოლოგიური ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი<br><br>თეიმურაზ ლომმთაძე |